სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N 122

ქ. ლანჩხუთი 7 მაისი 2014 წ.

ერთის მხრივ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ზაზა ურუშაძის სახით და მეორეს მხრივ, ინდ/მეწარმე: „გიგა ჯინჭარაძე" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი გიგა ჯინჭარაძის სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტი

შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს:

1.1. სოფ. ხიდმაღალაში საძოვართან ხიდის მოწყობის სამუშაოების (შემდგომში - სამუშაოები) – (CPV45221110) განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და თანდართული პროექტის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

საფუძველი: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულება.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4753 (ოთხიათასშვიდასორმოცდაცამეტი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს სამუშაოების სრულყოფილ შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს და კომუნალურ გადასახადებს (მოხმარებული ელექტროენერგია, წყალი, გაზი).

2.3. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ეროვნულ ვალუტაში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

მუხლი 3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია სამუშაოების შესრულების პარალელურად მოახდინოს სამუშაოების შემოწმება ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომლის მიზანია მათი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

3.2. შემოწმების ან/და ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ნაკლის ან დეფექტის მქონე სამუშაოების ან/და გამოყენებული მასალების შესაბამისი მიზეზების მითითებით.

3.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.4. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოების ნორმების მიხედვით სისტემატურად უნდა აწარმოოს მასალებისა და შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლი და მიღებული შედეგები შეიტანოს ყოველდღიურად ჟურნალში;

3.5. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ტექნიკური ზედამხედველობა, მშენებლობის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და სამუშაოების შესრულების ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ ხარისხი არ აღმოჩნდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისი, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამშენებლო სამუშაოების წარმოება და აკრძალოს შეუსაბამო მასალების გამოყენება.

მუხლი 4. სამუშაოების შესრულების ვადები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს არაუმეტეს წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) დღის განმავლობაში. სამუშაოები უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2014 წლის 30 ივლისისა.

მუხლი 5. თანმდევი მომსახურება

მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულების შემდეგ, თავისი ძალებითა და სახსრებით უნდა გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა-დანადგარებისაგან, დროებითი ნაგებობებისაგან, ასევე სამშენებლო ნარჩენებისაგან.

მუხლი 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოების მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა, სამუშაოს დასრულების შემდგომ, შემსყიდველს უნდა წარუდგინოს ფორმა N2, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში)

[illegible]ია მიღება-ჩაბარება მოხდება სამუშაოების დამთავრების შემდეგ ტექნიკური პირობების, მოქმედი [illegible]ენებლო ნორმებითა და წესებით განსაზღვრული აქტების საფუძველზე.

[illegible] სამუშაოების მიღების ყოველი ეტაპის და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან [illegible]აკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე, ტექნიკურ ზედამხედველობაზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელ
პირებს შემსყიდველის მხრიდან წარმოადგენენ საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

მუხლი 7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები განხორციელდება სამშენებლო ნორმებისა და სტანდარტების და მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად შესრულებული და ჩაბარებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა 3 წელი.

7.3. საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიმართვის შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში მიმწოდებლის მიზეზით წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა.

7.4. თუ მიმწოდებელი საგარანტიო ვადის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით ვერ უზრუნველყოფს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრას, შემსყიდველი უფლებამოსილია გაფრთხილებიდან 10 (ათი) დღის ამოწურვის შემდეგ მიმართოს სასამართლოს მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

მუხლი 8.ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიხედვით შემდეგი პირობებით: შუალედური ანგარიშსწორება მოხდება თითეული ობიექტის დასრულების შემდეგ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა N2–ის, ფარული სამუშაოების ჩატარების აქტი (ფარული სამუშაოების შესრულების შემთხვევაში) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა;

8.2. მიმწოდებლის მიერ 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

მუხლი 9.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს ამის თაობაზე შესაბამისი მიზეზების მითითებით.

9.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-20 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

9.4. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობები

10.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

10.2. შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

10.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

10.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება;

10.2.4. წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

10.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
10.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
10.3.2. განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების და მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით;
10.3.3. ხელი მოაწეროს სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტებს;
10.3.4. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.
10.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
10.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
10.4.2. სამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოების მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრულ ვადებში;
10.4.3. ფარული სამუშაოები აწარმოოს შემსყიდველის მიერ შესაბამისად უფლებამოსილი პირის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ. მიმწოდებელი ვალდებულია წინასწარ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე წერილობით და/ან სიტყვიერად აცნობოს შემსყიდველს აღნიშნული სამუშაოების შესრულების თარიღის შესახებ;
10.4.4. აწარმოოს სამშენებლო მასალების და კონსტრუქციების გამოცდები, გააფორმოს საერთო და სპეციალური სამუშაოების წარმოების ჟურნალები და ფარული სამუშაოების აქტები;
10.4.5. სამუშაოების შესრულების პროცესში შემსყიდველის შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო ან/და შეცვალოს გამოყენებული უხარისხო მასალა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
10.4.6. სამუშაოების შესასრულებლად აუცილებელი მასალები, აღჭურვილობა და მექანიზმების მოწოდება უზრუნველყოფილი უნდა იქნას მიმწოდებლის მიერ. მიმწოდებელი პასუხისმგებელია აღნიშნული მასალების, აღჭურვილობის და მექანიზმების უსაფრთხოებაზე. ხსენებული მასალების დაკარგვის ან გაუმართაობის შედეგად გამოწვეული რისკი ეკისრება მიმწოდებელს;
10.4.7. მიმწოდებელმა სამუშაოების განხორციელების პროცესში უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად;
10.4.8. ნებისმიერ დროს, წინასწარი შეტყობინების გარეშე დაუშვას შემსყიდველი და მისი წარმომადგენლები სამუშაო მოედნებზე;
10.4.9. სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია მისი მიზეზით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით 7.3 მუხლით გათვალისწინებულ ვადაში;
10.4.10. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ სამუშაოს შესრულებაში მონაწილე მუშა–მოსამსახურეების 80% დააკომპლექტოს ადგილობრივი ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებით.

მუხლი 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
11.2. ხელშეკრულების 8.1 პუნქტებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის შემსყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ვადაგადაცილებული თანხის 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
11.3. თუ მიმწოდებელი გადააცილებს სამუშაოს დასრულების ვადას, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2%-ის ოდენობით;
11.4. ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
11.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.6. ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.
11.7. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს)

ოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე. (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა;
მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

მუხლი 12. დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2. თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში ვერ მიაღწევენ შეთანხმებას, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით.

„შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი“	„მ ი მ წ ო დ ებ ე ლ ი“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	ინდ/მეწარმე: „გიგა ჯინჭარაძე“
ს/კ: 233730139	ს/კ: 26001004311
ა/ა: GE64TP0033030020000011	ა/ა: GE81TB7422445063600014
სს „პრივატბანკი“	სს „თიბისი ბანკი“
ბ/კ: GAVOGE22	ბ/კ: TBCBGE22
მის: ქ. ლანჩხუთი	მის: ლანჩხუთი
კოსტავას ქ. №37	სოფ. სუფსა
T – 0 494 22 30 10	T – 557 46 27 87

გამგებელის მოვალეობის
შემსრულებელი: /ზაზა ურუშაძე/

/გ. ჯინჭარაძე/

სუფსის ადმინისტრაციული ერთეული
(მშენებლობის დახასიათება)

ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის და
არქიტექტურის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

თ. ხელაძე

ხიდმაღალაზე საძოვართან ხიდის მოწყობა არსებული კონსტრუქციებით

საფუძველი: დეფექტური აქტი
სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 608 ლარი

შიფრი, ნორმატიული ნომერი და რესურსი	სამუშაოს და დანახარჯების დასახელება. მოწყობილობის დასახელება	განზომილების ერთეული	საპროექტო მონაცემები	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება	
				განზომილება ერთეულზე	სულ
	ხიდმაღალაზე საძოვართან ხიდის მოწყობა არსებული კონსტრუქციებით				
1	არსებული კონსტრუქციებით ხიდის მოწყობა				681,2
	ამწე საავტომობილო სვლაზე 16ტ	მ/სთ	8	31,97	255,76
	საწევარი ტრაილერი	მ/სთ	8	43,98	351,84
	მუშა მსენებლის შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	16	4,6	73,6
	ჯამი				681
	II ხიდის მოწყობა ხიდმაღალაზე				
1	ტრანშეის მომზადება ხიდის მოსაწყობად				268
	ექსკავატორი 0.25კბ/მ ჩამჩით	მ/სთ	10	23,12	231,2
	მუშა მსენებლის შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	8	4,6	36,8
2	რკ/ბეტონის ბურჯების ჩამოსხმა	კბ/მ	3,6		1037,116
	მასალა ბეტონი 5X1.2X0.3X2X1.05	კბ/მ	3,8	92	349,6
	მასალა არმატურა აIIIდ=16მმ ბიჯი25სმ 5/0.25X1.2X2X1.05	გრძ/მ	63	1,9	119,7
	მასალა არმატურა აIდ=10მმ ბიჯი25სმ 1.2/0.25X5X2X1.05	გრძ/მ	50,4	0,79	39,816
	ხის მასალა ქარგილისათვის 5X1X0.03X4X1.05	კბ/მ	0,63	450	283,5
	ლურსმანი	კგ	5	2,1	10,5
	საქსოვი მავთული	კგ	3	2	6
	მუშა მსენებლის შრომითი დანახარჯი	კბ/მ	3,8	60	228
3	რკინა ბეტონის გადახურვის ფილის მოწყობა	კბ/მ	2,3		729,61
	მასალა ბეტონი 5X2.3X0.2X1.05	კბ/მ	2,4	92	220,8
	მასალა არმატურა აIIIდ=18მმ ბიჯი20სმ 5/0.2X2.3X2X1.05	გრძ/მ	121	2,4	290,4
	მასალა არმატურა აIდ=8მმ ბიჯი20სმ 2.3/0.2X5X2X1.05	გრძ/მ	121	0,51	61,71
	მასალა არმატურა ცალკეული ღერო აIდ=6მმ	გრძ/მ	15	0,3	4,5

	ხის მასალა ქარგილისათვის (მეორადი გამოყენება)	——	——	——	——
	ლურსმანი	კგ	2	2,1	4,2
	საქსოვი მავთული	კგ	2	2	4
	მუშა მსენებლის შრომითი დანახარჯი	კბ/მ	2,4	60	144
3	ხიდის გვერდულების მოწყობა	კბ/მ	0,3		75,44
	ბეტონი 0.3X0.2X2.5X2X1.05	კბ/მ	0,32	92	29,44
	ხის მასალა მეორადის გამოყენებით	——	——	——	——
	მუშა მსენებლის შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	10	4,6	46
4	ხიდთან მისასვლელების მოწყობა ქვისა ხრეშოვანი ნარევით	კბ/მ	50		1183,66
	ქვიშა ხრეშოვანი ნარევი	კბ/მ	50	12	600
	ავტოთვითმცლელი 15ტ	მ/სთ	18	27,57	496,26
	დამხმარე მუშა	კაც/სთ	19	4,6	87,4
5	სატრანსპორტო ხარჯები	მ/სთ	16		334,72
	ავტოთვითმცლელი 10ტ	მ/სთ	8	20,19	161,52
	ავტომობილი ბორტიანი	მ/სთ	8	21,65	173,2
	ჯამი				3629
	სულ ჯამი				4310
	ზედნადები 6%				260
	ჯამი				4570
	გეგმიური მოგება 4%				183
	ჯამი				4753
	დ.დ.გ. 18%				855
	ჯამი				5608

შემსრულებელი: /მ. სადრუჟიანცი/

...როექტო განყოფილების უფროსი
...ვალეობის შემსრულებელი: /ნ. ბოლქვაძე/